

2016 წლის ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის

პ რ ო გ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა

სამინისტრო

თბილისი, საქართველო

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

პროგრამის ძირითადი არსია:

ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია;

ეროვნული ნაკრები გუნდისა და სხვა და სხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის, ქალთა ნაკრებისა და ფუტსალის ნაკრებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა, აუცილებელი განვითარება და მათი ერთიან სისტემაში მოქცევა;

საქართველოს ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელისა და სხვა მომსახურე პერსონალის სახელფასო ბაზის სრულყოფა.

ქართული ფეხბურთის შემდგომი წინსვლისათვის ხელშეწყობა და ყოველმხრივი დახმარება, ასევე, ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ხელშეწყობა.

ამ მიზნით ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების სახელფასო ბაზის სრულყოფა.

პროგრამის ამოცანები:

ეროვნული, ახალგაზრდული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ღონისძიებების წილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

ქალთა და ფუტსალის ნაკრები გუნდების ღონისძიებების წილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯებისა და სხვა პერსონალის სახელფასო ბაზის უზრუნველყოფა;

ეროვნული, ახალგაზრდული, ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრები გუნდების მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის მომსახურების ანაზღაურება;

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების მატერიალური სტიმულირება.

2. პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება – 01.01.2017

დასრულება - 31.12.2017

3. საერთო ღირებულება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამის ასიგნებების თანხა შეადგენს **6 700 000** ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

- საქართველოს ეროვნული, ყველა ასაკობრივი, ფუტსალის და ქალთა ნაკრებების მწვრთნელთა, ადმინისტრატორთა, ექიმების, მასაჟისტების, მენეჯერებისა და სხვა პერსონალის ანაზღაურება, მათ შორის საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის კონტრაქტის პირობების უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა ხარჯები.
- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და საქართველო ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული შეხვედრების, ასევე ფუტსალის ჩემპიონატის ჩატარების ხარჯებისა და მომსახურე პერსონალისა და მსაჯების ანაზღაურება.

- საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი, ასევე ქალთა და ფუტსალის ნაკრები გუნდების საწვრთნელი შეკრებების, ოფიციალური და ამხანაგური მატჩებისა და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობისათვის საჭირო და აგრეთვე მეტოქე გუნდებთან შეხვედრების პირობებით გათვალისწინებული ხარჯები.
- ფეხბურთის პოპულარიზაციისკენ მიმართულ სხვადასხვა შეჯიბრებებში ქართული გუნდების (მათ შორის სამოყვარულო) მონაწილეობა.
- საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციის, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.
- ეროვნულ ჩემპიონატზე, დავით ყიფიანის სახელობის თასისა და სუპერ თასის გათამაშების შედეგების მიხედვით საპრიზო ფონდის შექმნა და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების ფინანსური დახმარება (შენიშვნა: საპრიზო ფონდის გადანაწილება მოხდება სეზონის დასრულების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე) და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების ფინანსური დახმარება.
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხარჯები;
- საპრიზო ფონდის უზრუნველყოფა შიდა ჩემპიონატებში მაღალი სპორტული მიღწევებისათვის;
- ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საერთაშორისო კალენდარული გეგმების შესაბამისად შესარჩევი ციკლებისათვის მზადება, ორგანიზება და მონაწილეობა.
- ყველა ასაკობრივი ნაკრების, ქალთა და ფუტსალის ნაკრები გუნდის ოფიციალური და ამხანაგური მატჩებისათვის მომზადება და მათი მონაწილეობა, საერთაშორისო ტურნირების შეკრებების ორგანიზება.
- საპრიზო ფონდის უზრუნველყოფა შიდა ჩემპიონატებში მაღალი სპორტული მიღწევებისათვის;
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგები:

მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობები;

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები;

ინდიკატორები:

- კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულების მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ასპარეზობებზე მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;